პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 29 აპრილი, 1989 წელი ● № 18 (3098) ● СУББОТА, 29 АПРЕЛЯ 1989 г.

## ოფიციალური ინფორმაცია

**1989 წლის** 25 აპრილს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი. პლენუმზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ დააკმაყოფილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების თხოვნა, რომლებმაც დაწერეს მიმართვა მათ მიერ თავიანთი უფლებამოსილების მოხსნის შესახებ. ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა დიდი მადლობა გადაუხადა ამხანაგებს პარტიის არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში მათი მუშაობისათვის და ყოველივე საუკეთესო უსურვა მათ.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა (კამათში გამოსვლები და საბოლოო სიტყვა გამოქვეყნდება პრესაში.)

## Проявить благоразумие

**ПРОИСШЕДШИЕ** в нашей республике 9 апреля трагические события болью отозвались в сердцах всех советских людей. Жители Дманисского района близко к сердцу приняли эту трагедию, глубоко скорбят о погибших невинных людях. В нашем районе проживают и трудятся бок о бок люди 12 национальностей. В коллективе районного отдела внутренних дел несут службу грузины, греки, азербайджанцы, русские, армяне, совместными усилиями защищающие спокойную жизнь тружеников района.

На днях на собрании первичной партийной организации Дманисского РОВД были обсуждены Обращение Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР М. С. Горбачева к коммунистам, всем трудящимся Грузии и Обращение ЦК КП Грузии к населению республики. Коммунисты полностью одобрили и поддержали содержащиеся в Обращениях призывы проявить выдержку, прислушаться к голосу разума, развернули среди населения района большую пропагандистскую работу.

Был проведен ряд профилактических мероприятий, организованы встречи с представителями трудовых коллективов, отдельных производственных участков, в ходе которых сотрудники РОВД вели разъяснительную работу.

В результате принятых мер на территории района в эти напряженные дни не было каких-либо попыток проведения несанкционированных митингов и демонстраций. Жители всецело одобряют и поддерживают проводимую ОВД работу по установлению в республике образцового порядка.

**М. ГАРАКЛОВ,**
капитан милиции, заместитель начальника Дманисского РОВД по политической части.

## თავისი წვლილი შეიტანეს

**უბედურება** თავს დაატყდა აჭარის მთიანეთს. ხულოს რაიონის სხალთის ხეობის სოფლებში მიმდინარე წლის 19 აპრილს მეწყერმა ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გარდა ამისა დიდია აჭარის მაღალმთიან რაიონებში მატერიალური ზარალი. გაზაფხულის სტიქიამ უსახლკაროდ დატოვა ძალიან ბევრი მცხოვრები, ისინი იძულებული არიან მიატოვონ მამაპაპისეული ადგილები.

მიმდინარე წლის 21 აპრილს ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილებაში ჩატარდა ოპერატიული თათბირი. თათბირს უძღვებოდა განყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი თ. მჟავანაძე.

სიტყვით გამოვიდა გასამხედროებული დაცვის უფროსი შ. ლომინაძე, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ განყოფილების ყველა თანამშრომელმა თავისი წვლილი შეიტანოს სტიქიის მიერ დაზარალებულთა დასახმარებლად და გადარიცხონ დახმარების ფონდში თითოეული თანამშრომლის ერთი ან ორი დღის გამომუშავება.

აღნიშნულ წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი თათბირის ყველა მონაწილემ და მართლაც არასაუწყებო დაცვის დანაყოფების მიერ გადარიცხული იქნა 12 ათასი მანეთი, ხოლო მიმდინარე წლის 24 აპრილს აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კლუბში ჩატარებულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ხულოს რაიონში სტიქიისაგან დაღუპულთა ხსოვნას, გამოითქვა აზრი, რომ მხარი დავუჭიროთ არასაუწყებო დაცვის განყოფილების თანამშრომელთა ინიციატივისათვის და ყველა თანამშრომელს თითო დღის ხელფასი გადაგვერიცხა № 270057 ანგარიშზე დაზარალებულთა დასახმარებლად.

ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების შედეგად არასაუწყებო დაცვის თანამშრომელთა მიერ დაზარალებულთა დახმარების ფონდში გადარიცხულ 12 ათას მანეთს კიდევ 10.565 მანეთი შეემატა.

აუნაზღაურებელია ის დანაკლისი, რაც მშრომელმა ხალხმა მთიან აჭარაში განიცადა, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად საჭიროა უბედურების ზონაში ცოცხლად გადარჩენილ ადამიანებს მივეშველოთ, დახმარების ხელი უნდა გავუწოდოთ ფუძეაყრილ ოჯახებს, ყველაფერი ვილონოთ, რათა პრაქტიკულად განხორციელდეს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიებანი.

**ი. წულუკიძე,**
აჭარის ასსრ შს სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

## 1 Мая—День международной солидарности трудящихся

**НАРОДЫ СССР! ХРАНИТЕ И РАЗВИВАЙТЕ ТРАДИЦИИ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО ИНТЕРНАЦИОНАЛИЗМА И СОВЕТСКОГО ПАТРИОТИЗМА! ДАВАЙТЕ РЕШИТЕЛЬНЫЙ ОТПОР ПРОЯВЛЕНИЯМ НАЦИОНАЛИЗМА И ШОВИНИЗМА!**

(Из Призывов ЦК КПСС к 1 Мая 1989 года).



**გრძელდება** შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა შეხვედრები შრომით კოლექტივებთან, სადაც გულახდილად მსჯელობენ რესპუბლიკაში შექმნილ დაძაბულ მდგომარეობაზე.

ამ დღეებში თბილისის საკონდიტრო ფაბრიკას ეწვივნენ ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ვ. სანაძე და პირველი მაისის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ა. სანაძე. შეხვედრა გახსნა ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ახვლედიანმა. სიტყვით გამოვიდა ვ. სანაძე, რომელმაც ილაპარაკა ქალაქში არსებულ მდგომარეობაზე. ფაბრიკის დირექტორმა ვ. ცაგარეიშვილმა და სხვა გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელება, მუშათა კლასი კი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას.

* * *

**სურათზე:** სიტყვით გამოდის ვ. სანაძე, შეხვედრის დროს.

### ПОЗЫВНЫЕ «КРАСНОЙ СУББОТЫ»

## Рапортует субботник

**ТРАДИЦИИ** проведения «красных суббот» находят в наши дни достойное продолжение. Активно участвуют в них все трудящиеся нашей страны, в том числе и сотрудники органов внутренних дел.

По-деловому, организованно и энергично работали 22 апреля — в день Коммунистического субботника все сотрудники органов и подразделений внутренних дел МВД ГССР. Проделан большой объем работ по уборке и очистке рабочих мест и территорий подразделений. В целом по министерству в этот день произведено товарной продукции на 13.050 рублей, проведено подрядных строительных работ на 10 тысяч рублей. Сумма заработной платы, которая будет перечислена в фонд субботника, составила 3.732 рубля.

Следует отметить патриотический почин комсомольцев УВД Тбилгорисполкома, принявших участие в работах по восстановлению одного из самых древних архитектурно-исторических памятников столицы республики — крепости Нарикала.

## Совместными усилиями

**ЖИЗНЬ** столицы республики постепенно входит в привычную колею. Обеспечивать общественный порядок тбилисским сотрудникам милиции помогают их коллеги из различных уголков нашей страны. Так, на территории Орджоникидзевского района вместе с сотрудниками РОВД несут службу военнослужащие милицейского подразделения г. Караганды. С самого начала совместной службы между личными составами райотдела и прибывшего ему на помощь подразделения установился тесный контакт, доброжелательные отношения.

В связи с приближением дня коммунистического субботника руководством и первичной партийной организацией РОВД, по согласованию с командованием подразделения, в частности, заместителем начальника подразделения по политической части майором В. Трафимцевым было принято решение совместными силами организовать субботник по благоустройству двора и территории Детского дома в поселке Цхнети.

22 апреля ровно в 10 часов утра свободный от службы личный состав подразделения выехал на автобусе в Цхнети. Сначала военнослужащие осмотрели детский дом, ознакомились с деятельностью учреждения, поинтересовались проблемами воспитания детей.

Затем сотрудники милиции вручили детям подарки, с большим желанием взялись за работу по благоустройству и очистке территории детского дома, проявили при этом высокую организованность, культуру и дисциплину. Особенно отличились в работе старший лейтенант И. Бродник, старший сержант Е. Акименко, рядовые П. Видчинов, С. Федосеев, В. Артемев, С. Мохурь, С. Заковиркин, Н. Запоточный, О. Карпович, В. Кваснюк и другие, поощренные соответствующим приказом начальника Орджоникидзевского РОВД.

После окончания работы силами воспитанников детского дома был организован концерт, в заключение которого директор детского дома Мзия Киндзмаришвили от имени дирекции, педагогического коллектива учреждения поблагодарила военнослужащих и сотрудников РОВД за оказанную помощь.

**М. РАМИШВИЛИ,**
майор милиции, заместитель начальника Орджоникидзевского РОВД по политической части.

## მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის

# ჩვენი მთავარი საზრუნავი

**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის 1988 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სამინისტროს სხვა სამსახურებთან ერთად მოსახლეობის სამართლებრივ აღზრდაში სუსტად მონაწილეობს შს სამინისტროს სასწავლო ცენტრის მეთაურ-მასწავლებელთა შემადგენლობა. ცენტრის პედაგოგიურმა კოლექტივმა აღნიშნული კრიტიკა სამართლიანად მიიჩნია და მდგომარეობის გამოსასწორებლად მის მიერ ჩატარებული იქნა გეგმიური მუშაობა. სათახადოდ ჩაერთო ამ საქმიანობაში სასწავლო ცენტრის უფროსის, ჯერ კიდევ 1987 წლის 20 ნოემბრის მითითებით მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის მიზნით სასწავლო ცენტრში ჩამოყალიბებული ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფი, რომელშიც დღეისათვის უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე 15 პედაგოგი — ოფიცერია გაერთიანებული. 1988 წლის 16 ნოემბერს დამტკიცდა ლექციების თემატიკა გლდანის რაიონის მოსახლეობაში ლექცია-მოხსენებების ჩასატარებლად. გეგმის მიხედვით სასწავლო ცენტრის პედაგოგებმა მოსახლეობაში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში წაიკითხეს ლექციები ისეთ აქტუალურ თემებზე როგორებიცაა: „სსრ კავშირში კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობებისა და დემონსტრაციების ჩატარების წესის შესახებ", „სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ", „სსრ კავშირის ახალი კანონი სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ", „პასუხისმგებლობა ლოთობისა და ალკოჰოლიზმისათვის", „პასუხისმგებლობა ნარკომანიისათვის", „პასუხისმგებლობა არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის", „მეზობლური და საოჯახო კონფლიქტების ნიადაგზე წარმოშობილი სამართალდარღვევების მიზეზები", „პასუხისმგებლობა აზარტული თამაშებისათვის", „სახალხო რაზმელთა უფლება-მოვალეობანი სსრ კავშირში" და სხვა.

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის სამუშაოების ჩატარება გრძელდება. უახლოეს ხანში წაკითხული იქნება ლექცია-მოხსენებები ისეთ აქტუალურ საკითხებზე როგორიცაა: „პასუხისმგებლობა არაშრომითი შემოსავლის მიღებისათვის", „პასუხისმგებლობა მუქთახორობისა და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდებაზე", „მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით", „თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებული პირების შრომითი მოწყობის შესახებ", „პასუხისმგებლობა ხულიგნობისათვის საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით და სხვა".

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის ერთ-ერთ ორიგინალურ ფორმად დამკვიდრდა ჩვენს მუშაობაში აგრეთვე ისეთი პრაქტიკა, როცა სასწავლო ცენტრის პედაგოგ-მასწავლებლები გლდანის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის მუშაკებს ერთობლივ რეიდებზე გასვლის წინ სასწავლო ცენტრის პრაქტიკანტ-მსმენელებთან ერთად ინსტრუქტაჟის ჩატარებისას აცნობენ კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებს და განუმარტავენ მათ უფლება-მოვალეობებს ახალი კანონმდებლობის ფონზე.

სასწავლო ცენტრის მეთაურ-მასწავლებელთა მთავარი საზრუნავი ახლა ის არის, რომ ამაღლდეს თითოეული ჩატარებული ლექციის მოხსენებისა თუ საუბრის ქმედითობა, ყოველ მათგანს მოჰქონდეს რეალური პრაქტიკული შედეგი. მომავალშიც განზრახული გვაქვს გლდანის რაიონის საზოგადოება „ცოდნასთან" ერთად კვლავაც წვლილი შევიტანოთ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და სოციალისტური სამართლის პროპაგანდის საქმეში.

**ზ. მესხიშვილი,**
**სასწავლო ცენტრის უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.**

**რედაქციისაგან:** დღევანდელობამ დაგვანახა, რომ აღნიშნული მიმართულებით მუშაობა, სამინისტროს სამსახურების მიერ განსაკუთრებულ გააქტიურებას მოითხოვს და ამაში პასუხისმგებლობა ყველას გვეკისრება, როგორც სამსახურების ხელმძღვანელებს, ასევე თითოეულ თანამშრომელს.

---

**26 აპრილს** ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში გაიმართა შეხვედრა მეომარ ინტერნაციონალისტებთან, რომლებიც მუშაობენ შს სამმართველოს სისტემაში. შეხვედრაზე მოვიდნენ რაიგანყოფილებების, ავტოინსპექციის, საპატრულო-საგუშაგო სამსახურის, სახანძრო ნაწილების, სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებების დაცვის დანაყოფებში მომუშავე „ავღანელები". შეხვედრა გახსნა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში მილიციის მაიორმა ვ. სანაძემ. გამომსვლელმა დამსწრეებს გააცნო ის რთული ვითარება, რომელიც დღეისათვის თბილისში შეიქმნა. ვ. სანაძემ მიმართა სტუმრებს, რომ ყველას გამოეთქვა თავისი აზრი, იმის შესახებ, თუ დამატებით რა საშუალებების გამოყენებაა საჭირო, რათა ქალაქში დამყარდეს სანიმუშო წესრიგი, რა პრობლემებია გადასაჭრელი და რა როლი უნდა ითამაშოს ამაში საზოგადოებამ ჩვენს მუშაკებთან ერთად.

**ბ. მგალობლიშვილი,**

* * *



**სურათზე:** შეხვედრის შემდეგ „ავღანელებს" ესაუბრება შს სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. ივანიშვილი.

ავტორის ფოტო.

---

## რედაქციაში წერილი მოვიდა

# პატივცემულო რედაქცია!

**ალბათ** დაგვეთანხმებით, რომ თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელიც დატრიალდა 9 აპრილს, გულგრილად არავინ არ დასტოვა. ეს ტრაგედია მრავალეროვან ივენს რესპუბლიკაში მცხოვრებ მშრომელებთან ერთად გულთან მიიტანეს და მწუხარება გაიზიარეს ჩვენი სოფლის მშრომელებმა, ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. ჩვენი სოფელი, რომელიც ზუგდიდის რაიონში მდებარეობს რესპუბლიკაში, ითვლება ერთ-ერთ პირველ სოფლად, სადაც ცხოვრობს 51 სოციალისტური შრომის გმირი. ეს ის ახალსოფელია, სადაც მთელი თავისი ცხოვრება გაატარეს ჩაის პლანტაციებში ორგზის სოციალისტური შრომის გმირებმა: ქალბატონმა თამარ ყუფუნიამ და ბატონმა ანთიმოზ როგავამ. არ დარჩენილა რესპუბლიკური თუ საკავშირო გაზეთების არც ერთი ნომერი, რომლის წერილებიც საჯაროდ არ განგვეხილოს. მთელი რესპუბლიკის მცხოვრებთა ხმას ჩვენი სოფელიც უერთდება და თამამად ვიტყვით, რომ ტრაგედია უფრო დიდი დატრიალდებოდა თუ არა ჩვენი მილიციის თავდადება. დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მილიციას შ. გორგოძის თავკაცობით და ჯანმრთელობას ვუსურვებთ დაზარალებულებს.

**პატივისცემით შრომის ვეტერანი, სახალხო განათლების წარჩინებული, კომუნისტი ო. ქადარია.**

**ახალსოფლელების სახელით სოციალისტური შრომის გმირები: ჯ. როგავა, მ. ქადარია, ე. ჯოჯუა, დ. შეროზია, ბ. ყუფუნია, ი. ჭურლულია, ჟ. ჯოჯუა, ხ. დავითაია.**

* * *

**რედაქციისაგან:** მსგავსი შინაარსის წერილები მრავლადაა შემოსული „მებრძოლი გუშაგის" რედაქციაში. გვწერენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

ჩვენც შევეცდებით შეძლებისდაგვარად გავაცნოთ ისინი ჩვენი გაზეთის მკითხველს.

---

## МЫ — ИНТЕРНАЦИОНАЛИСТЫ

# В СЕМЬЕ ЕДИНОЙ

**ОДНИМ** из важнейших завоеваний социализма в нашей стране является нерушимая дружба живущих здесь братских народов. Происшедшее в последнее время определенное обострение межнациональных отношений выявило копившиеся годами и имеющиеся на сегодняшний день в этом важнейшем деле проблемы, потребовало на современном этапе качественно новых подходов и решений, но неизменным остается одно — всем нам необходимо жить и трудиться на благо нашего общего дома. Эту непреложную истину хорошо понимают в коллективе Гардабанского РОВД, где проводимая партийно - политическая работа направлена на воспитание патриотизма, укрепление и развитие дружбы между живущими бок о бок людьми разных национальностей.

Гардабанский район, как и многие регионы Грузии, многонационален. Поколениями живут и трудятся здесь вместе люди разных национальностей — грузины, азербайджанцы, русские, украинцы, осетины, ассирийцы, немцы, греки и др. Поэтому, как в партийно-политической, так и оперативной работе сотрудники отдела учитывают местные обычаи и традиции.

Последовательно проводится работа по подбору, расстановке, воспитанию кадров личного состава, исходя из политических, деловых, моральных качеств и с учетом национального состава. Руководством РОВД, его парторганизацией проводится работа с демобилизованными из рядов Советской Армии и внутренних войск МВД СССР воинами, в том числе с воинами-интернационалистами, поддерживается контакт с ректорами высших учебных заведений республики с целью отбора из числа студентов — жителей Гардабанского района — кадров для создания резерва офицерского состав РОВД. В настоящее время создан также резерв на выдвижение из офицерского состава РОВД из сотрудников всех национальностей.

Национальные особенности учитываются сотрудниками в повседневной деятельности, оперативной работе. Чувство интернационализма особенно ярко проявляется в работе дружного коллектива ОУР, где под руководством майора милиции Г. Исакидиса, грека по национальности, работают грузины и азербайджанцы.

У многих сотрудников отдела многонациональные семьи, где каждый член семьи буквально с детства впитывает дух интернационализма. Так, начальник отделения по руководству участковыми инспекторами майор милиции Л. Купатадзе грузин по национальности женат на немке, мать старшего оперуполномоченного ОБХСС майора милиции Р. Одикадзе — осетинка, сам он женат на украинке. Милиционер, рядовой милиции М. Абдуллаев — азербайджанец, женат на русской, у секретаря райотдела Н. Аладашвили бабушка по материнской линии — русская, дедушка по отцовской линии — грузин, муж — армянин. Этот список можно продолжить. Следует отметить, что во всех этих семьях владеют несколькими языками. Так, супруги Купатадзе свободного говорят на грузинском, немецком и русском языках, Р. Одикадзе в совершенстве владеет грузинским, русским, украинским и осетинским языками и т. д.

В райотделе стало традицией проведение вечеров отдыха с участием многонациональных семей сотрудников. Эти и многие другие проводимые мероприятия благоприятно сказываются на служебной деятельности сотрудников отдела, способствуют повышению их сплоченности в борьбе с преступностью.

**Т. МИРОТАДЗЕ,**
**капитан милиции, заместитель начальника Гардабанского РОВД по политической части.**

---

## МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

# ГРАБЕЖ НЕ УДАЛСЯ

**24 МАРТА** около восьми часов утра в РОВД Октябрьского района г. Тбилиси, где наряды готовились к сдаче службы, раздался телефонный звонок. Жительница одного из домов по улице Артвинской сообщила, что в комнату к ее соседке ворвались неизвестные люди.

На место происшествия немедленно выехала оперативная группа, возглавляемая оперуполномоченным УР райотдела — старшим лейтенантом милиции Г. Гагнидзе. В состав группы вошли участковый инспектор по делам несовершенноленти х лейтенант милиции А. Алавидзе, помощник дежурного старший сержант милиции И. Хубаев и водитель подразделения сержант милиции А. Арчвадзе.

Сотрудники милиции оцепили дом, затем, взломав дверь, неожиданно для преступников ворвались в комнату и задержали их. Ими оказались жители города Тбилиси восемнадцатилетний Ч. Ч. и двадцатидвухлетний Дж. Н.

Проникнув в комнату, они связали хозяйку дома, намереваясь забрать с собой ее драгоценности и личное имущество, однако благодаря решительным действиям сотрудников милиции, преступный замысел был вовремя пресечен. У преступников изъято награбленное имущество и холодное оружие.

**А. МАЛАЯНЦ.**



**თბილისის** შს რაიგანყოფილებებში მომაგრებული არიან და მილიციის მუშაკებთან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მონაწილეობენ შინაგანი ჯარების წარმომადგენლები. ამ დღეებში ირკუტსკის სამხედრო ნაწილიდან მომაგრებულ რიგითს ვ. გავრიუშინს დაბადების დღე მიულოცეს კალინინის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა. იუბილარს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა რაიგანყოფილების უფროსმა, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ზ. როშაქიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 29—30 აპრილი ხსოვნის დღეებია

## არასოდეს დაივიწყებენ



ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი მაშინ, როდესაც 29-30 აპრილი გარდაცვლილთა ხსოვნის დღეებად გამოცხადდა, რომ ესოდენ დიდი გლოვის ზარი ჩამოჰკრავდა სრულიად საქართველოში, თავს დაგვატყდებოდა 9 აპრილს თბილისში მთავრობის სასახლის წინ და აჭარის მთიან რეგიონში 19 აპრილს დატრიალებული ტრაგედია. და თუ მეორე სტიქიურ უბედურებად მოგვევლინა, პირველი უპასუხისმგებლობის, გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის, ადამიანთა მოდგმის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების შედეგი გახდა. სწორედ ეს მდგომარეობა აათკეცებს ტკივილს და ამავე დროს მოითხოვს უდიდეს დაკვირვებას და ერთიანობას ჭეშმარიტების დადგენის საქმეში, რათა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც სამართლებრივ სახელმწიფოს აშენებს, სამართალმა იზეიმოს და ყველას თავისი დამსახურებისამებრ მიეზღოს.

დღეს კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა სახელით, რომელთა უმთავრესი მოვალეობაა სახელმწიფოს და მოქალაქეთა ინტერესების, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფისაგან დაცვა, ვუერთდებით სრულიად საქართველოს ერთიან ტკივილს და სამძიმარს ვუცხადებთ დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს...

В АПРЕЛЕ нынешнего года исполнилось 68 лет принятому Ревкомом Грузии в 1921 году Декрету «О рабоче - крестьянской милиции». Большой и славный путь прошли органы внутренних дел республики за эти годы, много героических страниц вписано в летопись борьбы за правопорядок и социалистическую законность. Ряды сотрудников республиканской милиции постоянно пополняются достойными кадрами, но никогда не изгладится в наших сердцах память о тех, кто погиб, защищая спокойную жизнь своих сограждан, до конца выполнив свой служебный и патриотический долг.

В настоящее время в соответствии с решениями партийных органов республики и руководства Министерства внутренних дел Грузинской ССР ведется строительство Музея истории МВД ГССР, в экспозициях которого достойное место займут документы, рассказывающие о погибших при исполнении служебных обязанностей сотрудниках. Однако и сейчас в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР в комнате «Боевой славы» развернута небольшая выставка, в которой представлены личные вещи, фотографии погибших сотрудников.

Всматриваясь в лица тех, кого уже нет рядом с нами, изучая их биографии, невольно восхищаешься их мужеством, верностью долгу, которые являются достойным примером для подражания для новых поколений стражей правопорядка. Комнату «Боевой славы» часто посещают молодые сотрудники, студенты, учащиеся школ, трудящиеся столицы республики. Все они приходят, чтобы почтить память тех, кто до конца выполнил свой долг перед народом.

Сегодня, в День памяти бойцов правопорядка, мы еще раз вспомним всех их поименно. А. Кирвалидзе, Г. Датуашвили, К. Гогричиани погибли на своем боевом посту на Кахетинском шоссе. Е. Богверадзе погиб на Мцхетском шоссе. А. Бурдули, А. Рзгоев и Л. Мгалоблишвили погибли, преследуя преступников. В автоаварии погиб А. Марангозян. Следователь Изольда Барамидзе встретила смерть у порога дома преступника. Важа Караули спас женщину, тонувшую в море, а сам погиб. Среди погибших Н. Байрамов, В. Тужба, Э. Ченшвили и другие, отдавшие свои молодые жизни служению делу охраны общественного порядка, своему народу. И память о них вечно будет жить в наших сердцах.

**Т. СЕРЕБРЯКОВА,**
**майор милиции в отставке, начальник Музея истории МВД ГССР.**



## ОНИ ВСЕГДА РЯДОМ С НАМИ



**НА СНИМКАХ:** во время осмотра экспонатов комнаты «Боевой славы», Музея истории МВД ГССР.

## გამჩნარი ხსოვნა

ჩვენი ხალხი ოდითგანვე წმიდათაწმინდად ინახავდა და ინახავს წინაპრების და საერთოდ გარდაცვლილი ახლობლების ხსოვნას, რომლებმაც თავიანთი ლამაზი, გმირული ცხოვრებით წარუშლელი კვალი დასტოვეს ჩვენს გულში. ჩვენ ყოველთვის მოწიწებით ვიხსენებთ მათ მიერ გაკეთებულ საქმეებს. ვცდილობთ დავეხმაროთ მათ ოჯახებს და ამით შევუმსუბუქოთ ის დიდი ტკივილი, რაც მათ განიცადეს. უნდა გვახსოვდეს ჭეშმარიტება — თუ არ მოვუარეთ, და არ ვუპატრონეთ გუშინდელს, არც ჩვენ და არც ჩვენი საქმეები გაახსენდება არავის ჩვენს შემდეგ. დღევანდელობა ხომ წარსულის ფესვებზეა აღმოცენებული და იმ ფესვებს ყოველდღიური გახსენება, დაფასება და მოვლა სჭირდება.

მცხეთის შს რაიგანყოფილების მუშაკთა რიგებიდან სხვადასხვა დროს უდროოდ წავიდნენ ჯანლონით სავსე და საქმისადმი ერთგული თანამშრომლები. მათი ცხოვრება ყოველთვის სამაგალითო იქნება ჩვენთვის. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ნიკოლოზ მიგრიაული, რომელმაც ბანდიტებთან ბრძოლას შესწირა თავი. მისი ვაჟიშვილი, მილიციის მაიორი ნ. მიგრიაული დღეს მცხეთის შს რაიგანყოფილებაში მუშაობს და აგრძელებს მამის სახელოვან საქმეებს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ: ნიკოლოზ ზურაბიშვილი, ავთანდილ შანვაძე, ემილიან ბოგვერაძე, და მერაბ მიქელაძე, უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა იროდი პავლიაშვილი და ვასილ ჯავახაძე, უდროოდ გარდაიცვალა შალვა რევაზიშვილი. მათ თავიანთი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება მოახმარეს ხალხის სამსახურს, მათი კანონიერი ინტერესების დაცვას. ვინც ამ ამხანაგების გვერდით იდგა, ბევრი რამ აქვს გასახსენებელი მათი ტკივილითა და სიხარულით აღსავსე წარსული დღეებიდან.

მათი ხანმოკლე სიცოცხლე მაგალითი იქნება იმათთვის, ვინც ხვალ და ზეგ წესრიგის დამცველის ფარაჯას ჩაიცვამს და ხალხის სამსახურისათვის ფიცს დადებს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

**ზ. ჭიჭინაძე,**
მცხეთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის მაიორი.

## არდავიწყება კაცისა

არიან ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული კაცთმოყვარეობით და მეგობრობის გრძნობით. მათი რამდენიმე დღით დაშორებაც კი სევდას გვგვრის და მითუმეტეს ძნელია, როდესაც ისინი სამარადისოდ მიდიან ჩვენგან. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა გუგული სერგოს ძე კიკნაძე, რომელსაც 50 წელი უნდა შესრულებოდა.

გუგულიმ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ფარცხნალის სკოლაში, შემდეგ კი ორჯონიკიძის (ხარაგაულის) შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორად მუშაობს. შრომისმოყვარე ახალგაზრდას მალე საპასპორტო მაგიდის უფროსად აწინაურებენ და 17 წლის განმავლობაში თავისი კეთილსინდისიერი შრომით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავაზიანობით არამარტო კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა, არამედ მთელი რაიონის მოსახლეობის სიყვარული დაიმსახურა.

წლების განმავლობაში იყო განყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, თავისი პრინციპულობით, სამართლიანობით და ობიექტურობით გვერდში ედგა თითოეულ ჩვენთაგანს რთული და დაძაბული საკითხების გადაწყვეტაში. ყველამ იცოდა გუგული არასდროს ზედმეტს არავის არ ეტყოდა და არც უსამართლობას აიტანდა, არც არავის აპატიებდა განზე დგომას და უსაქმურობას.

გუგული ახალგაზრდას პირველ პასპორტს რომ გადასცემდა ხელის ჩამორთმევასთან ერთად გზას



ულოცავდა, თვალს გააყოლებდა — კარგი ახალგაზრდობა გვეზრდებაო — ჩაილაპარაკებდა.

ხსოვნის დღე რომ მოახლოვდებოდა იტყოდა — აბა ბიჭებო, ხვალ შევიკრიბოთ და ჩვენი გარდაცვლილი თანამშრომლები გავიხსენოთო, — გასულ წელს გენდუზი გაჩეჩილაძის საფლავი, რომ ყვავილებით შევამკეთ, ცრემლი წასკდა და ამოიოხრა — გენდუზი, შენთან სიკვდილს რა უნდოდაო — რა ვიცოდით მაშინ, რომ მომავალ წელს ულმობელი სიკვდილი ხელიდან გამოგვაცლიდა გუგულის და მომავალი ხსოვნის დღეს მის სახელსაც გავიხსენებდით, სახელს, რომელსაც დავიწყება არ უწერია, სანამ ის ადამიანები იქნებიან, ვინც მას იცნობდა.

**თ. ბოგოლაძე,**
**ორჯონიკიძის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში, მილიციის კაპიტანი.**

**29 АПРЕЛЯ** 1989 года по установившейся традиции сотрудники органов и подразделений внутренних дел Абхазии заступают на Вахту памяти, чтобы отдать дань глубокого уважения тем, кто, выполняя свой служебный и гражданский долг, пал жертвой бандитской пули, кто, не жалея сил и энергии, честно и безупречно выполнял свой профессиональный долг, и кого смерть преждевременно вырвала из наших рядов.

В День памяти бойцов правопорядка мы склоним свои головы и перед памятью тех, кто ушел из жизни, уже находясь на заслуженном отдыхе. Именно они стояли у истоков формирования советской милиции, в ожесточенных схватках с контрреволюционерами и меньшевиками отстаивали завоевания Советской власти, насмерть стояли в борьбе за независимость нашей Родины в годы Великой Отечественной войны.

Мы почтим память первых бойцов абхазской милиции Василия Лакоба, Константина Инал-ипа, Михаила Шлаттера и многих других. Вспомним и первых руководителей милиции Абхазии — Варлама Кецбая, Александра Агрба, Евстафия Вардания, Владимира Ампара, Самсона Пилия.

Каждодневным напоминанием о подвиге наших сотрудников служит барельеф с мраморной стелой, расположенный в фойе МВД Абхазской АССР, на которой высечены имена сотрудников, героически погибших в годы Великой Отечественной войны и при исполнении служебного долга в мирное время.

## ВАХТА ПАМЯТИ

До прошлого года на стеле было выбито 12 фамилий героев. Вот их имена: И. К. Алан, Б. К. Пагава, И. Х. Чкадуа, П. Ф. Ахалая, А. Б. Кетия, А. Д. Дзидзария, А. К. Кортава, Ф. Х. Чамагуа, К. В. Пачулия, Р. А. Парулава, Ш. Ш. Цулукия, В. А. Тужба.

В июле 1988 года горестная весть разнеслась по Абхазии — при исполнении служебных обязанностей в возрасте 50 лет погиб начальник Гантиадского отделения внутренних дел Гагрского ГОВД майор милиции Шалико Герасимович Пачулия. Он погиб при задержании вооруженных бандитов, покушавшихся на честь, достоинство и жизнь людей. Мы потеряли хорошего товарища, коммуниста, надежного и мужественного человека, который выполнил свой служебный долг до конца. Теперь и его фамилия золотыми буквами вписана в мраморную доску геройски погибших.

В этот день во всех клубах и ленинских комнатах органов и подразделений внутренних дел Абхазии пройдут торжественно - траурные митинги, на которых политработники, секретари первичных партийных организаций, ветераны ОВД расскажут об этапах борьбы органов внутренних дел за социалистический правопорядок, о подвигах погибших сотрудников милиции, добрым словом помянут покойных.

Затем будут возложены венки к памятникам В. И. Ленину, Ф. Э. Дзержинскому, мы посетим места захоронения погибших и умерших сотрудников, поклонимся их памяти, примем от них эстафету верности долгу. В дни, предшествующие Вахте памяти состоится посвящение молодых сотрудников в бойцы правопорядка, организованно пройдет торжественное принятие Присяги, вручение удостоверений и личного оружия молодым сотрудникам.

Мужество, отвага, высокое профессиональное мастерство — вот качества, которые отличают большинство сотрудников МВД Абхазской АССР, достойно продолжающих славные боевые и трудовые традиции тех, в чью честь мы сегодня заступаем на Вахту памяти.

Традиции живут и продолжаются.

**Е. ОСИПОВА,**
**капитан милиции, инструктор политического отдела МВД Абхазской АССР.**





**9 აპრილს** მთავრობის სასახლესთან მიტინგის მონაწილეთა დარბევის ფაქტმა, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა, რესპუბლიკის მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. საზოგადოების წარმომადგენლები პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით გმობენ უკანონობის ამ გამოვლინებას. ამასთან ერთად ერთხმად გაისმის გულთბილი სიტყვები ჩვენი მილიციის მისამართით, რომლებიც იმ მძიმე წუთებში თავდადებით მოქმედებდნენ. სურათზე № 1 საავადმყოფოს მე-2 ქირურგიული განყოფილების ექიმებთან ერთად ასახული არიან საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლები, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ; ჩერმიზოვი, მილიციის ზემდეგი პ. ქართველიშვილი და მილიციის სერჟანტი გ. ჩანგიშვილი, რომლებმაც მოინახულეს მათ მიერ გადარჩენილი დაზარალებულები.

გ. ბურამიშვილის ფოტო.

# ქარგი ტრადიცია

**ამას** წინათ ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტნაწილის ინიციატივით პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის თანამშრომლებთან ერთად მოეწყო ტრადიციული სტუმრობა ქ. სამტრედიის ძნელადაღსაზრდელთა სკოლაში.

სამმართველოს თანამშრომლებმა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სამართლის წრის წევრებმა ისაუბრეს იმ დიდ პოლიტიკურ და სამართლებრივ ცვლილებებზე, რომლებიც ამჟამად ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში, იმ უდიდეს ყურადღებაზე მთავრობის მხრიდან, რასაც უკანასკნელ პერიოდში იჩენენ არასრულწლოვანთა აღზრდის დაწესებულებებისადმი. სკოლაში არასრულწლოვანთა ინსპექციების წარმომადგენლებმა მოინახულეს ის მოსწავლეები, რომლებიც მათი სამოქმედო რაიონებიდან არიან გამოგზავნილნი.

სიმღერას, ლექსი და ცეკვა ენაცვლებოდა. დიდხანს, საღამომდე გასტანა შეხვედრამ. პიონერებთან ერთად პროგრამას უძღვებოდა შს სამმართველოს აგიტბრიგადა, მონაწილეობდა აგრეთვე სკოლის აქტივიც.

დასასრულ შს სამმართველოს თანამშრომლებმა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის პიონერებმა საჩუქრები გადასცეს სკოლის აღსაზრდელებს.

**დ. ცაავა,**

**ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტნაწილის უფროსი ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.**



# Выставка в пожарной части

**ПОДРАЗДЕЛЕНИЕ** пожарной охраны завода им. Димитрова — одно из лучших в Тбилисском гарнизоне. По итогам прошлого года подразделению (начальник — майор внутренней службы Г. Чедия, заместитель начальника подразделения по политчасти — старший лейтенант внутренней службы В. Элизбарашвили) присвоено звание «Отличная пожарная часть».

В канун 71-й годовщины образования советской пожарной охраны в спортивном зале части состоялась выставка картин старшего пожарного рядового внутренней службы Ю. Бабышева. Закончив в 1978 году художественное профтехучилище им. М. Тоидзе, он свою дальнейшую судьбу связал с органами пожарной охраны, но не забыл и о прежнем увлечении живописью. В 1988 году на выставке, организованной в клубе им. Ф. Э. Дзержинского МВД ГССР в честь 70-летия советской пожарной охраны, картины, пейзажи, натюрморты Ю. Бабышева были отмечены премией.

# В СВЕТЕ ГЛАСНОСТИ

**В МИНИСТЕРСТВЕ** внутренних дел СССР создан отдел по взаимодействию со средствами массовой информации.

О задачах, стоящих перед новым подразделением, рассказывает исполняющий обязанности начальника отдела полковник внутренней службы Б. Михайлов:

— В последнее время в МВД СССР последовательно реализуется программа расширения гласности в деятельности органов внутренних дел.

Новый отдел основное свое внимание сосредоточит на изучении общественного мнения, анализа влияния на него прессы, радио, телевидения. С этой целью создано специальное аналитическое подразделение. Резко улучшается снабжение журналистов необходимой им информацией. Станут регулярными выпуски пресс-бюллетеней, специальных информационных изданий. Чаще будут проводиться брифинги и пресс-конференции в МВД СССР, при этом темы их будут определять сами журналисты. Надеемся, что в ближайшее время корреспонденты для получения разнообразной, в том числе и статистической, информации смогут воспользоваться специально установленными у нас компьютерами.

**Ф. ИВАНОВ.**

# სახელმწიფო საზღვართან

**ფიქრებით** დამძიმებული ბათუმის მილიციის უფროსი დიმიტრი მაღრაძე ბოლთას სცემდა კაბინეტში, როდესაც კარები გაიღო და სახეგაბრწყინებული ტყიბულელი ოპერრწმუნებულები ვარლამ ცქიფურიშვილი და სიმონ ცირეკიძე ბათუმელი კოლეგების თანხლებით აჩქარებით შევიდნენ მასთან,

**ზ. აგულაძე**

# დამნაშავის სისხლიან კვალზე

## (დოკუმენტური მოთხრობა)

— რას მეტყვით ბიჭებო! ახალი რაა? — მოკლედ შეეკითხა მაღრაძე, თითქოს ეშინია ცუდი ამბავი არ მითხრანო.

— ყველაფერი კარგად დამთავრდა ამხანაგო პოლკოვნიკო, ძებნილი ანასტას ალექსანდრიდი შეპყრობილია — მოახსენა ვარლამ ცქიფურიშვილმა.

— სამახარობლო ჩემზეა, სად დააკავეთ?

— ჩვენ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ვერაფერს გავხდებოდით სასაზღვრო ჯარები რომ არ დაგვხმარებოდა, განსაკუთრებით კი ანდრეი მარტინენკომ და მისმა „აკბარმა" ისახელეს თავი.

ვიცოდით, რომ გაქცეული საამკარაოს აერიდებოდა და თავს ბნელ ადგილებს შეაფარებდა, ამიტომ არც ერთი ხევი და ბუჩქნარი არ გამოგვიტოვებია. ხალხი უსაშველოდ დაიქანცა, არც მარტინენკოს „აკბარს" ადგა კარგი დღე. ცოტა ხნით სამძებრო ძაღლი დავასვენეთ და შემდეგ ახალ უბანზე გადავინაცვლეთ.

აქ დაიწყო ძაღლმა ღრენა და შემდეგ ფეხი აღარ მოიცვალა, გამყოლმა ისევ დააყნოსვინა თუ არა „აკბარს" გაქცეულის ტანსაცმელზე, ძაღლმა თოკი გაქაჩა და თავზე დაგვაყენა სახელმწიფო საზღვრის მახლობლად ბუჩქებში განაბულ ალექსანდრიდს.

— ახლა მოვასვენოთ ამხანაგები, — მიმართა მაღრაძემ გიორგი ასამბაძეს — ხვალ კი გზა დავულოცოთ ტყიბულისაკენ.

## სასამართლოზე

**ქ. ტყიბულის** კულტურის სასახლის ვრცელი დარბაზი ხალხს ვეღარ იტევდა.

— ბრალდებულო ანასტას ალექსანდრიდ, დაგვისახელეთ თქვენი თანამოსაქმეები! — კითხვა დაუსვა რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ ა. გოგიჩაიშვილმა.

— ისინი ბევრნი არ არიან, — იყო მოკლე და ზოგადი პასუხი.

— მაინც?

— გრიგორ პროკოპენკო თქვენ უკვე იცით, სხვა თანამოსაქმე მე არ მყოლია.

— ამირან დობორჯგინიძესთან თუ გქონდათ რაიმე კავშირი?

— ეგ რა ჩვენი ტოლი იყო, გლეხუჭაა, ეგ ისე.....

— ხომ ხვდებოდით მას?

— ხშირად „ვყომარობდით", გამოჭერილი გვყავდა, რასაც იშოვნიდა სულ ჩემთან და პროკოპენკოსთან აგებდა ზარში.

— ამ საათს თუ იცნობ? — მოსამართლემ ხელში აიღო ის საათი, რისთვისაც ოპერრწმუნებულმა სიმონ ცირეკიძემ დობორჯგინიძე დააკავა სასაუზმე-პავილიონ „ლენქუოში" ატეხილი აყალმაყალის გამო.

— ვიცნობ, ზარში მომიგო მაგ ბედოვლათმა. ერთადერთი დღე იყო, როდესაც მაგას გაუმართლა და საათი მომიგო, რომელიც [illegible] გამოდგა ჩემს წინააღმდეგ.

— ბრალდებულო ანასტას ალექსანდრიდ, თქვენ ესროლეთ და მძიმედ დაჭერით უბნის ინსპექტორი ნოდარ კალმახელიძე, რატომ?

— მე ყველას ვესვრი, ვსპობ და ვანადგურებ, ვინც წინ გადამეღობება. სხვა რაიმე მიზეზი ჩვენს შორის არ ყოფილა.

— როგორ მოახერხეთ „ორიგინალური" წერილის დაწერა, ან ვისი ხელით გაიტანეთ იგი პირობით ადგილზე?

— მოწყალების დას მოვპარე ხალათის ჯიბიდან ათმანეთიანი, მელნად კი საკუთარი სისხლი ვიხმარე ასანთის ღერის გამოყენებით.

— ვის გაატანეთ წერილი?

— არავის, წერილი მე თვითონ გადავისროლე დათქმულ ადგილზე.

— ეგ როგორ?

— როდესაც რენტგენის სურათის გადასაღებად პირველ სართულზე ჩამიყვანეს ვთხოვე 10-წუთი სუფთა ჰაერზე გაყვანა და სანიტრებმაც არ დამამადლეს.

— თუ იცით, რომ წერილი თქვენს თანამოსაქმეს არ მიუღია?

— ახლა კი, მაგრამ გაქცევის დროს არ ვიცოდი.

— გაგვიშიფრე წერილის შინაარსი.

— წერილი სწორად არის გაშიფრული, არ მეგონა თუ მილიციის ოპერრწმუნებულები ასე სრულყოფილად ფლობდნენ ჩვენს ჟარგონს.

— ვინ არის „აქლემი"?

— მართლაც რომ „აქლემია", ბედოვლათი დობორჯგინიძე. ეგ ფაიყუში რომ არ ჩავარდნილიყო ვერ თავსატეხი გექნებოდათ.

— ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ თქვენს მიმართ წაყენებულ ბრალდებაში?

— დიახ, ვცნობ, მე და პროკოპენკომ გავქურდეთ ოცი ბინა ტყიბულში. რაოდენობა ახლა ზუსტად არ მახსოვს, ჩავიდინეთ თხუთმეტზე მეტი ძარცვა და ყაჩაღობა ერთად აღებული არა მარტო ტყიბულში, არამედ ქუთაისში, ზესტაფონში, სამტრედიაში და წყალტუბოშიც კი.

— ბათუმის საავადმყოფოდან თქვენ გაქცევა მოაწყვეთ, სად აპირებდით წასვლას?

— სახელმწიფო საზღვარზე მინდოდა გადასვლა.

— საზღვარგარეთ უკეთ იგრძნობდით თავს?

— არ ვიცი, არც დავფიქრებულვარ, შეიძლება არა...

●

**სასამართლომ** დამსახურებული სასჯელი მიუზღო ყველას.

ანასტას ალექსანდრიდს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით. გრიგორ პროკოპენკოს 15 წლის, ხოლო ამირან დობორჯგინიძეს 5 წლის პატიმრობა მიესაჯა. ბანდიტთა ხელშემწყობ „მეგობარ ქალებს" კი ორ-ორი წელი აკმარეს.

* * *

**ამ დოკუმენტური** მოთხრობის მოქმედ პირთაგან თითქმის ყველანი დამსახურებულ პენსიაზე გავიდნენ.

დასანანია, რომ ყოფილი ოპერრწმუნებული სიმონ ცირეკიძე ამ ორიოდე წლის წინათ გარდაიცვალა და გამოაკლდა ქალაქის საზოგადოებას. სხვები ჭარმაგად არიან და სამშობლოს საკეთილდღეოდ დიდი გატაცებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 10-17).

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

# По следам преступников

**МЕЖДУНАРОДНЫЙ** розыск пяти мошенников объявлен южноафриканской полицией. Они подозреваются в махинациях, которые обошлись в 19 млн. долларов двум крупнейшим банкам страны — «Траст бэнк оф Африка» и «Ферст нэшнл бэнк оф Сазерн Африка». По сообщениям из Иоханнесбурга, махинаторы искусно подделывали подписи высокопоставленного представителя «Траст бэнк» на расчетных чеках, с помощью которых можно было снять деньги со счета в другом банке. Фальшивые чеки были использованы, в частности, при покупке самолета «Фалькон-50» стоимостью 10 млн. долларов, золотых монет и необработанных изумрудов. Местонахождение преступников не установлено, неизвестны и приметы четырех членов группы. Пятым оказался бизнесмен из Иоханнесбурга Стюарт Пегг, который, предположительно, скрывается в США.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064. УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72;
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოჩალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00260